საქმე №3/3877-13

1203516435198

www.info.court.ge

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა
საქართველოს სახელით

13 ივნისი, 2014 წელი ქ. თბილისი

შესავალი ნაწილი

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია

მოსამართლე - ინგა კვაჭანტირაძე

სხდომის მდივანი - ციალა გახელაძე

მოსარჩელეები ასოციაცია ,,მწვანე ალტერნატივა''

დავით სახვაძე

მოპასუხე საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო

მოპასუხე • საქართველოს მთავრობა

მესამე პირი შპს ,,R.M.G.GOLD''

მესამე პირი საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

დავის საგანი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ- სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა

სარეზოლუციო ნაწილი

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსის პირველი, მე-2, მე-9, მე-12, 22-ე, 32-ე მუხლებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-8, 243-ე 244-ე, 248-ე, 249-ე, 257-ე და 369-ე მუხლებით,

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა

1. ასოციაცია ,,მწვანე ალტერნატივასა" და დავით სახვაძის მოთხოვნა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

2. სადავო საკითხის გადაუწყვეტილად გათილად იქნეს ცნობილი საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2013 წლის 5 ივლისის №03/108 ბრძანება და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს დაევალოს საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში იმავე საკითხზე გამოსცეს ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.

3. გათილად იქნეს ცნობილი საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2013 წლის 8 აგვისტოს №03/130 ბრძანება.

4. გათილად იქნეს ცნობილი საქართველოს მთავრობის 2013 წლის 3 ოქტომბრის №1430 განკარგულება დავით სახვაძისა და ასოციაცია ,,მწვანე ალტერნატივას" ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში.

5. გათილად იქნეს ცნობილი საქართველოს მთავრობის 2013 წლის 4 ოქტომბრის №1433 განკარგულება ასოციაცია ,,მწვანე ალტერნატივას" ადმინისტრაციული საჩივრის განხილვაზე უარის თქმის შესახებ.

6. გათილად იქნეს ცნობილი საქართველოს მთავრობის 2013 წლის 4 ოქტომბრის №1435 განკარგულება დავით სახვაძის ადმინისტრაციული საჩივრის განხილვაზე უარის თქმის შესახებ.

7. გათილად იქნეს ცნობილი საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 ოქტომბრის №1436 განკარგულება.

8. საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს და საქართველოს მთავრობას სოლიდარულად დაეკისროთ ასოციაცია ,,მწვანე ალტერნატივას" სასარგებლოდ 100 ლარის გადახდა.

9. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო წესით თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში (მაღვბარე ქ.ფშავლისი,

გრიგოლ რობაქიძის ქ. №7ა) თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის (მდებარე ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივნის მე-12 კმ, №6) მეშვეობით 14 დღის ვადაში დასაბუთებული გადაწყვეტილების მხარეთათვის გადაცემის მომენტიდან.

მოსამართლე **ინგა კვაჭანტირაძე**

ასლი დედანთან სწორია
თბილისის საქალაქო სასამართლოს
ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია
მდივანი
19 - 06 2014